სტუ-ს გეოლოგები სტიქიის ზონაში

24 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სტუ-ს III კორპუსის ეზოში შეიკრიბნენ და გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთან ერთად, წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთზე არსებული სტიქიის ზონის დასათვალიერებლად და გასაცნობად გაემართნენ. ადგილზე მომავალ გეოლოგებს საშუალება მიეცათ დარგის სპეციალისტებთან ერთად მოენახულებინათ მეწყრული ზონები წყნეთი - ბეთანიის, წყნეთი - ახალდაბის გზის მონაკვეთებზე და წყნეთის უკანა ხევის (კოსტავას ქუჩის მიმდებარედ) ტერიტორიაზე.

სტუდენტებმა უფროსი თაობის გეოლოგებისაგან დეტალურად მიიღეს ინფორმაცია მეწყრული პროცესების წარმოშობის, განვითარების და მეწყერსაშიშ ზონებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; აიღეს ნიმუშები მეწყრული ფერდობის ამგები ქანების ლითოლოგიური შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული განსაზღვრისათვის. ამჟამად ისინი მუშაობას აუდიტორიაში და ლაბორატორიებში აგრძელებენ და საკუთარ მოსაზრებებს უახლოეს დღეებში ანგარიშის სახით წარმოგვიდგენენ.

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტები და თანამშრომლები მადლობას უხდიან გარემოს ეროვნულ სააგენტოს მეგზურობის გაწევისთვის და გამოთქვავენ მზადყოფნას ინტენსიურად ითანამშრომლონ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტთან სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების და თეორიული ცოდნის გასამყარებლად.